# განცხადება

## სავალდებულო სატენდერო შეთავაზებაზე

ქ. ბათუმი 07/02/2025

წინამდებარე სავალდებულო სატენდერო შეთავაზება ცხადდება სს „გრინ დაზღვევა საქართველოს" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404990435, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. N4, შემდგომში - „კომპანია" ) აქციათა ყიდვის თაობაზე „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 55[3] მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად. სავალდებულო სატენდერო შეთავაზების საფუძველია სს „მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404392359, მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, ნიკოლოზ გოგოლის ქუჩა, N11, შემდგომში - "შემთავაზებელი") მიერ კომპანიიის B კლასის აქციათა საერთო რაოდენობის 281,059 ცალი აქციის შეძენა (კერძოდ კი B კლასის აქციათა 6.938 %-ის შეძენა).

<u>გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:</u>

1. შემთავაზებელი ფლობს კომპანიის AA კლასის - 1,650,000 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი) ცალ (რაც უდრის ჯამურად განთავსებული აქციების 100%-ს), A კლასის - 4,350,000 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ცალ, (რაც უდრის ჯამურად განთავსებული აქციების 100%-ს), B კლასის განთავსებულ 3,770,000 (სამი მილიონ შვიდას სამოცდაათი ათასი) ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც შეადგენს B კლასის განთავსებული აქციების 93.062%-ს და სურს გამოისყიდოს კომპანიის დარჩენილი - ყველა B კლასის 281,059 (ორას ოთხმოცდაერთი ათას ორმოცდაცხრამეტი) ცალი განთავსებული ჩვეულებრივი აქცია, რომელიც შეადგენს განთავსებული B კლასის აქციათა 6.938%-ს.
2. კომპანიიის ერთი ცალი ჩვეულებრივი აქციის გამოსასყიდი ფასი შეადგენს 2.20846 ქართულ ლარს. გამოსასყიდი ფასი დადგენილია აუდიტორული კომპანია შპს „ქროუ ჯი" (ს/ნ 405309330) მიერ და არ არის იმ უმაღლეს ფასზე მეტი, რომელიც შემთავაზებელმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა კომპანიის ჩვეულებრივ აქციაში.
3. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება გამოქვეყნებული იქნება 2025 წლის 07 თებერვალს შემდეგ ვებ-გვერდებზე: აქციონერის ვებ-გვერდზე - metroholding.ge-სა და ემიტენტის - ს.ს. გრინ დაზღვევა საქართველოს მიერ არჩეული ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროების საშუალებით, კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.greenig.ge, ასევე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმე/იურიდიული პირების რეესტრის ელექტრონულ პორტალზე - my.gov.ge, სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე. აქციონერი, სავალდებულო სატენდერო შეფასების შესახებ ინფორმაციას, სავალდებულო სატენდერო შეთავაზების განცხადების ასლთან ერთად - აქციათა ნომინალურ მფლობელ საბროკერო კომპანიებსა და სს "საქართველოს ფასიანი

ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს" გაუგზავნის წერილობითი ფორმით, დაზღვეული ფოსტით.

4. სავალდებულო სატენდერო შეთავაზება გაგრძელდება 2025 წლის 07 თებერვლის 12:00 საათიდან 2025 წლის 07 აპრილის 18:00 საათის ჩათვლით. წერილობითი განცხადებები (აქცეპტის წერილი) კომპანიის აქციონერთა მიერ შეთავაზებაში აღნიშნული პირობებით აქციების გასხვისების თაობაზე მიიღება იმავე ვადაში.
5. განცხადებები განიხილება 2025 წლის 08 აპრილიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, კერძოდ კი 2025 წლის 16 აპრილამდე და იმავე ვადაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება.
6. კომპანიის B კლასის განთავსებული აქციების დარჩენილი 6.938%-ის ანუ 281,059 (ორას ოთხმოცდაერთი ათას ორმოცდახრამეტი) ცალი აქციის სრულიად გაყიდვის თანხმობათა არსებობის შემთხვევაში შემთავაზებელი გამოისყიდის აქციათა სრულ რაოდენობას. შემთავაზებელი ვალდებული იქნება გამოისყიდოს სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ფარგლებში გასაყიდად შეთავაზებული აქციების რაოდენობა.
7. შემთავაზებელი ვალდებულია გამოისყიდოს აქციები იმ პირობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთავაზების პერიოდის განვალობაში ამ განცხადებაში მითითებულ მისამართზე მიიღებს წერილობით განცხადებას (აქცეპტის წერილს) კომპანიის აქციონერისგან.
8. სავალდებულო სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.
9. შესყიდვა მოხდება სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვადის და გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ კი 2025 წლის 25 აპრილამდე.
10. კომპანიის აქციონერების მიერ მათ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვაზე წერილობითი განცხადებები (აქცეპტის წერილები) უნდა ჩაბარდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩა, მეტრო სითი, D ბლოკი მე-5 სართული, საკონტაქტო ნომერი: 577 37 89 44.
11. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 პრიმა მუხლის შესაბამისად, შესაძენ აქციათა გამოსასყიდი ფასის შეფასების ანგარიშის გაცნობა აქციონერებს შეუძლიათ წინა პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სს „მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯიას" დირექტორები:

იბრაჰიმ სელჩუქ უნალ

ლარა ოზთურქ